


6983

01113630-20
01113630-20

75
1917

ნეკაღული



ცემათვის უკანონი

მცირებრივანოაზონი



ჭ 0163160

№ 1.

1917 წ.

ა რ მ ა რ გ ა რ გ ა

70-07-19 24
1879

1917 1.

0163160, 1917 ა.

243-5818

244.



მოგვილოცავს იზილი წელი.

මොන්ඩාර්සො:

I—මොයිලෝප්‍රායේ පෙනීලි එළුලී, —සුරුවති	1
II—නායාදුලිස් මිටිත්වෝලු යදි:—I, වෘත්තාන්ත දා ජාත්‍ය ත්‍රේතෝලුය- දි. —II, ගුණුන්ද, අනුරූප දා මාර්ගාම මිශ්චරාත්වෝලුයදි. —III, තොන් මධ්‍යාලැංඡලෝත්වෝලි—IV. ගුම්මි. —V, ප්‍රායෝගික වෘත්තාන්ත නිඛා- රිත්වෝදි. —VI, පිළිබඳ පිළි- ලාංඡු—තැංලිලිස්	8
III—ඇගිරුණාසි මුද්‍රාලු, —ලුයුෂි ගිගි තුශ්මිස්ත්‍රේවෝලිසා	8
IV—මත්‍ස්‍ය පාරිභාරි, —දායු. යුලුව්‍යාසනිකිසා	7
V—ඩොඩිස් ණඟ උප්පිඩි, —තාරුගම්බනි උප්පිඩියුෂි	23
VI—ඩොඩි; මොඩ්‍යානිස් පළිඹුරුගිඳාන්, —ප්‍රාථි ගුණිඹෝලිසා	11
VII—මුද්‍රාතුලි පාරියුදි:—1, ජු; 2, ගුවෝලි, මුද්‍රාප්‍රභාලි දා පු- රුජරි.	26
VIII—නියුලුව් බාරාතාත්වෝලිස්, —ලුයුෂි ට. ගුණිඩිස්	21
IX—ගත්‍යාර්තිවෝදි: ජාරාදුයිදි, ගම්මාපාන්ත දා රුද්‍යුෂි	24

“ԱՐԵՎԱԿԱՆ ՓԱՌԱՎԱԿԱՆ”



230 063 040 020



პირვანი მეცნე

(სახლწერ შილოცვა)



ნელი ღამეა. სოფელში
ქარი საზარლად გრიალებს,
თველისა კორიანტელსა
აუენებს, ბიორიალებს.

ბუსრის წინა ჸის ფეხელა,
თვალები ეწერის ბოლითა;
გამწარებულა საწებლი
სიღარიბესთან ბრძოლითა.



წელიწადი, ქრისაგან
აღარ მოხელია წერილი;
მათ თუ ლეი მოუქლეს,
ან სადმეტენესის დაჭრილი...

ღამეებს თეთრად ბთენებს
აფასაკების შიშითა;
მწესარე თვასს უძღვება
თხერით, ვათ და ვიშითა.

ტაფაში ჭხარშავს გოზინავს;
ჭყოცნის მმინარე იღოსა:
უნდა რომ დილით ჰეჭინ ბიჭს
ეეღაბირი ჩაუტებიღოსა.

აგერ მამდებმა იუივლეს,
დაღლილი ქარიც ჩერდება;
ცას მტრედის უკრი დაედო:
ახალწლის დილა თენდება.


გარედ მაღლის სმა მოისმა,
უცებ ვიღასაც ეპეთა;
დარდიან გულზე უკულას
ნეტა ვინ მოსდის მექანიკა?!

კარი გაუღო, შეხედა,
შეჭივლა, გადაესვია;
ის იუო მისი მეუღლე,—
უეღის გაბალახი ქხვია.

მმინარე იღოც წამოხტა,
ჭყოცნიან სიუგარულითა.
ახალმა წელმა დაგატებოთ
უკელანი სიხარულითა.

გაგო თემისხეველი.





ოთხთა პავილი

ზღაპარი



ეო და არა იუთარა,—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,—იუთ ერთი მებაღე. სცხოვრობდა იგი ბედნიერად თავის ბაღში, რომელსაც არ აკლდა არც მზის სხივები, არც წვიმის გრილი ცრემლები. მის ერთფეროვან სიცოცხლეს ამშენებდნენ ბედნიერებით ახალგაზდა ცოდნი და მვიდი წლის ძვილი—შაქრო, რომელიც პატარაობითვე სიუგაურულით შესცეკეროდა მიწას და მის უხე ნაუოვს.

სწავლა-კანათლების მოკლებულ მამას არც შეიღისათვის სწეუროდა იგი; მიწა კი უხვად უბრუნებდა შრომის ფასს. „და ჩემმა შაქრომაც მიწით იწჩინოს თავიო!“—ფიქრობდა მებაღე.—„მე მწეალობს ღმერთი; ჩემ შვილსაც არ მოაკლებს თვის წეალობას!“ სწორედ ამიტომ მებაღე აჩვევდა უასაკო შაქროს ნელნელა ბარის ხმარებას—მიწის მოსარბილებლად, ხეების დარგუაზადარებას. აռ, ახლაც მამის თანადასწრებით ბავშვი ამჟნობს ნორჩ ატმის სეს, თანაც ებაასება თავის მამას:

— მამილო, შენ გაგეცინება, მაგრამ მე მაინც ვიტევი ჩემსას: გული მეუბნება, რომ ამისთანა ატამი ჩვენს ბაღში არ

მოინახება; ბედნიერი მარჯვენა მოუცია ჩეუნთვის ღმერთსა; ბედნიერი, ვენაცვალე უფალისა!

ეს სიტევები უბრძლო კმიტნა როდი იუო. შაქროს, მართლა, დალოცვილი მარჯვენა ჰქონდა: არა ერთხელ უმუნია მას ხე და უოველთვის უხეირია.

II

ასე პოხდა ასლაც. გაფიდა დრო. საუცხოო გამოდგა ნამა ენი, და შაქრო სისარულისაგან ცას სწერდება.

—ამისთანა ატამი, წეალობა მაქვს, არა თუ ჩევნის ბაღძი, მთელ მაზრაშიაც არ მოიპოვება!—თავმომწონედ ეუბნება იგი მამას.

შშობელს, რასაკეირველია, ეს სიტევები სიამოვნებას ჰქონის. შაქრო სომ ერთად-ერთი შვილია მისი, საევარელი ბავშვი, უზომოდ გონება—გამჭრიასი და ღვთისაგან დალოცვილი.

— მართალი ხარ, მართალი, მე და ჩემმა ღმერთმა!—სია მაჟით უასეუხებს მამა შვილსა, რომელმაც უპჩე კარგად იცის, რა ატამიც მოდის მაზრაში.—მაგრამ იცოდე, რომ კარგ საქონელს კარგი პატრონის თვალიცა სჭირია! შენვე უნდა მოუარო შენს კაზდილს, თორემ,—მრავალია ავი სული ღერაშიწის ზურგზე,—ისე კაჭუცქენიან, რომ საგანგებოდაც არ დასტოვებენ!

ტეუილი იუო ეს გაფრთხილება შაქროსათვის, რაღან უძინოდაც იგი თვალს არ აშორებდა სეს: თითქმის დათვლილი ჰქონდა ატმები, იცოდა კარგად, რომელ ტოტს რამდენი ნაუთვი ება, და ძილშიაც კი მათთან იუო.

— ჩემო მუირფასო, ევითელო ქარგავ, აგასხამ კრიბლოს ნად და გულში... ეი, უორანო, მიფრთხილდი, თორემ უეხებს მოგამტვრევ, წეალობა მაქვს ღვთისა!.. ექეი, იცოდე— შემო-

მაკვდები! — ჰევირის შაქრო განთაღზე სელების ქნევით, ტითა ქოს სახრით იყერიბის მტერსაო, და წამოახელს თვალს; თვალის დახამხაძებაში პირს დაიბანს, ტანთ ჩაიცამს და გა გარდება ბაღში; ათვალიერების ატმებს და დარწმუნდება, რომ რამდენიმე ატამი აკლია. ჩამოკდება სის მირში თავ-ჩაღუნუ- ლი და დაიწუებს ტირილს.

III

სტირის შაქრო მოთქმით, და ცრემლები ნაკადივით ჩამოს- დის წამოწითლებულ დოკებზე. ზოგი ჰქრება, შეისაგან ზე- ცად მოტაცებული, ზოგი კი უცემა დედამიწაზე.

სტირის მოთქმით შაქრო და გულს უკლავს გამოვხიზლე- ბულ არემარეს, რომელიც იცრემლება მასთან ერთად.

ესმის კრაზანას შაქროს ტირილის ხმა, უკვირს, რომ ადამიანმაც იწერ მასავით ბზეული; კედარ უთმენს გული, ბიქ- ნევს ფრთხებსა და გაჩნდება უმაწვილის წინ.

— უმაწვილო, უმაწვილო, რა გატირებს აგრე მწარედ? ისეთი რა უბედურება გეწვია, რომ მდედარე ცრემლებითა რწეავ მიწასა და ჭიბული, ჩემ თანამომეთა ხროვასავით, რთა მელსაც აგარა ბიჭმა სახლი დაუნგრია? მითხარი, ეგებ გიმ- ველო რითომე!

— ეჭ! აბა რა შეგიძლია შენ, ჰატარა კრაზანას, როდესაც მე, კეება ბიჭმა, უძლური ვარ! — უუბნება შაქრო და მოუეგება ატმის ამბავს კრაზანას.

წენარად მოისმენს კრაზანა შაქროს ნაამბობს და ეტევის მას:

— გული გაიძაგრე! შენთან ერთად უდარაჯებ სეს დღევან- დელ დამეს. მხოლოდ ნუ დამიძლი, რომ ცოტა დავიტებო პი- რი ატმის წევნით. ბევრი ხილუულიბა მიღებია, მაგრამ ამ- გვარ სურნელოვან ატმის გემოს ჭერ არ ვღირსებივარ!

შაქრო დასთანხმდა. კრაზანა დაბურინდა ატამს და საკმარდ-
დასტება. ოთვესაც გამდა, გაიმეორა კიდევ თავისი დღპირება
და გაჰქირა ბზუილით, ოთველიც კურ მყაფიოდ მოისმოდა,
თანადა-თან კი სიძორის გამო სუსტდებოდა, ოკუთოც ფრინ-
ველთა სიძღვრა მიღის წინ.

14

გავიდა გარებ ხანი. მზე სამხრეთს მოუახლოვდა. შაქროს
მოაგონდა დაკარგული ატმები და იწეო ისევ ტირილი. მოეს-
მა მისი ტირილი ახლა უვავსა. დაიჩხავლა ერთხტალის თა-
ვისებურად და შაქროს წინ გაჩნდა.

— ემანუილო, ემანუილო, რა გატირებს? მდინარემ წაიღო
თქვენი ბატები, თუ მგელმა მოგზაცა საუკარელი ბატყანი?
მითხარი, ეგებ გიშევლო რამე!

— ეს, ამა რა შეგიძლიან შენ, უბედურ უვავსა! არც მდი-
ნარეს წაუღია ბატები, არც მგელს მოუტაცნია ჩვენი საუფა-
რელი ბატყანი! აღმიანის შეიღლმა მომზარა ჩემი ხელით საკან-
გებოდ მოჟღლილი, საუფარელი ატმები.

— გულს ნე გაიტებ! რასაც ვერ სხლივ შენ, ვება ბიჭა
მა, ამას ვძლევ მე, ერანტალა ევავი, ჩემი მწახე ხმითა. ამ
დაპეს შენთან ერთად უდარაჯებ შენ სავარელ ხეს და ისეთ
მექს დაგსცემ თავს კადნიერ მტერსა, რომ აზრადაც აღარ
მოუვიდეს ქურდობა. მხოლოდ მაგემ ებ ქარვის მზგავი
ატაში!

შაქრო მოუწევებს ერთ ატაშს უვავსა. უვავი ხელო იგ-
დებს, შესხნავლებს საძინლად და გაფრინდება მეზობლისაკენ.
მეზობლის ბიჭი გამოვარდება თოვით, რომ ბოლო მოუ-
ღოს გათამამებულ ფრინველს, მაგრამ თვალი უდაბლატებს,
და უვავი, ატმით კლანჭებმი, მხოლოდ წეველას-და წაიუთ-
ლებს თან:

— აი, ამოვარდი, წევულო! შენს პატრონს დასხესავდე
უბედურება, მე სასიკვდილებ!

V

შებინდდა. შაქროს მოაგონდა ისევ დაკარგული ატმები
და იწეო ტირილი. იფრინა-იფრინა ციცინათელამ, რომელიც
შორია-ახლოს ტბის თეთრ ზამბაზზე სცხოვრობდა, და ცრემ-
ლების დაბრით განქეტიანებულ ჰაერით მიზიდული გახნდა
უმაწვილის წინ. თავისი მშეუტავი ლამპრით ანათებდა იგი ღამ-
დამობით ტბის ბროლის ზედაპირს, ახლა კი გაანათა ბინდით
მოცული სის ძირი.

— უმაწვილო, რა უბედურება გეწვია, რომ მხურვალე
ცრემლებითა სტრირ? მკირფას მარგალიტებსავით გიმშვინებუნ
ლალის ლოვებსა ცრემლები; მაგრამ იცოდე, ღრმა კვაბლის
დაახნევენ თავის სიმწვავით! თავს მოუარე! მითხარ, რამ ძე-
გაწუხა: ეგებ გიმშველო რითიძე!

— ეჭ, ჩემო პაწია! მლიერი სარ შენი საიდუმლო ცეცხ-
ლითა, მაგრამ შენი ღვთაებრივი მაღა მე ვერას მარგებს! — მი-
უგო შაქრომ ნაზ არსებას და გადუშალა თავისი მწუხარება.

— გულს ნუ გაიტეხ, ჩემო კარგო! ღლევანდელ ღამეს შე-
მოგწირავ. გავანათებ მის სისხლებს ჩემი ცეცხლითა და კა-
მორებ მწუხარებას. სინათლისა სომ ეშინა ეოველ აფ სულსა!
მხოლოდ მომეცი პირობა, რომ ღლებს შემდეგ თავის გასარ-
თობად აღარ დაიჭერ ჩემ მომეცებს.

— ეჭ, ვნახავ, ვნახავ, როგორ დამეხმარები! თხოვნას კი
ისევდაც შეგისრულებ!

VI

ღამეა... შაქრო ისევ სის ძირშია. აქვე, სის ტოტზე, სხე-
დან მისი მოკავშირენი: ურანტალა უვაკი და ბზუილა კრაზანა.


აქეე მოთავსებულა ჰაწია ციცინათელაც. შეთანხმებულნი, ელიან კენი მტერისა. უოველ შემთხვევისათვის შაქროც შეიარაღებულა ვეება კეტით. ციცინათელაც დროუ გამოშვებით დაურიცალებს და აშუქებს ბნელ სის ძირას დაძის დარაჯისა. ქურდი, ძართ და, ერიდება სინათლეს და ვერ ჭდებავს მოსელას. მაგრამ სამუდამოდ დაძინება და დაფიხობა მისი საჭირო; ამიტომ ციცინარელაც მოიკალათებს სეზე მეგობრებთან.

სინათლესთან ერთად ჭრება ქურდის მორიდებაც: აგერ უახლოვდება სეს მეზობლის ბიჭი. აი, თურმე, ვინა უოფილა მტერი! ბარაქალა, ბიჭო! გუმინ მომარულ ატმების გემო ახლაც ბირძი ნერწევსა ჰეგრის, და ახალ ალაფის იმედით მხიარულად მოდის სასურველ სისაკენ; მაგრამ ამ დროს მას წინ ეღობება ჰაწია ციცინათელა და თვებლი შეაშუქებს ლაბარის. ახლა უვავის რიგია: შიგ უერში ჩასჩავლებს ქურდს ურანტალა და, როდესაც ზარ-დაცემული მეზობლის ბიჭი თავს მოარიდებს, მეორე მხირდნ თავს ესმის შესახე მოყაფა ძირე—კრაზანა. ქურდი მთლად გადირევა მიშისაგან; მას ჰერნია, რომ თავს დაეცა მთელი რაზმი ავ სულთა; იბრუნებს ბირსა და ვაი-დედის მახილით მოჰკურცხლავს.

ეს იურ და ეს. მაქროს ატმის სეს ამის შემდეგ აღარ მიჰკარებია ქურდის სელი... კიდეც წამოიზარდა შაქრო, და კაცებულა. ახლა ნამდვილი მებაღეა. ღმერთი სწეალობს მექალებურად. მეზობლებში კი დადის სმა, რომ მის სილეულობას უდარაჯებენ თვით კეთილი ან გელოზები.

ღა. კალისანიძე.

ქ. ბლაგოვერჩენსკი.



შობის ხე ტყეში



დადის ზამთარი. სელში უკირავს ეინულის ჯონი. ტუქმი წესიერებას იცავს. დაარტეა ნაქადულს; იმ წამსვე ნაქადული გაიყინა. გაბერტეა თუ არა თავისი ტანისამოსი, იმ წამსვე თოვლი წამოვიდა.

— აქ მგონი ეველაფერი წესზეა,— სთქვა ზამთარშა.— მიუვარს, როცა ეველაძ იცის, რომ ამ სამ თვეს მე ვარ ამ მიღამოს ბატონ-ჰატონი.

ეველა ნაძვის ხე მორთო თავისი თეთრი ფილქით. ერთი ჰატარა ნაძვის ხე, რომეულიც იდგა ტუის განაპირას, ეველაზე კარგად შემოსა.

— აი, ახლა ეველაფერი მოვაწესრიგე,— სთქვა ზამთარშა და წავიდა; თან ეინულის ჯონით აბრახუნებდა.

დგას ნაძვის ხე, ზემთრით მორთული, და ემადლიერება ზამთარს.

— აი, როგორი ლამაზი და მოქაზმული ვარ. მადლობა ზამთარს: არ დაგავიწედი... ამბობენ—ზამთარი მალიან ბორთურიაო. მართალი რომ გითხრა, სულაც არ არის ბოროტის და არც იქნება.

მთვარენენ ბაგშები ტუქმი ცული მოიტანეს, რომ მოქმებნათ და მოეჭრათ ნაძვის ხე. ეძებეს, ეძებეს. და ვერ ნახეს. მიუიდნენ ჰატარა ნაძვთან; ახედ-დახედეს და მაღიან მოქმონათ.



— აი, ეს შობის-ხე მოვჭრათ! — სთქება ერთმა მათგანმა.

— გაიგონა თუ არა ეს სიტუაცია ზატარა ნაძვება, შექ-
შინდა და ტანძი ქრუანტელმა დაუბრა. ოჟ, რა სწეინდა, რომ
უნდა დაძორებოდა ამ მშვენიერ ტექს და უნდა წასულიერ
შორს, სადღარც ქალაქში. ალბათ იქ არც ნაძვებია, არც დიდი
წილელი, რომელიც ტექში ზევიდან დაჭეურებდა.

— ნუ თუ მე უნდა მოვგვდე ცულის ქვეშ; ნუ თუ მომაშო-
რებენ ამ მშვენიერ ტექს?

განა იძირომ მოირთო ასე ლამაზად, რომ ჩქარა მომ-
კვდარისუ?

შესედეს, შესედეს ბაგშებმა და შეკუოდათ.

— ცოდვაა ამის მოქრა, — სთქება ერთმა ბიჭმა. — აბა შესე-
დეთ — რა ლამაზია, და ამას გარდა რა ზატარაა. დავტოვოთ
და ამის მაგიერ სხვა მოვძებნოთ.

— იყით რა გითხრათ! — სთქება გოგომ: — ნუ წავიდებთ შო-
ბის ხეს სახლში: აქ გავაკეთოთ!

— როგორ აქ?

— სულ უბრალოდ: მოვიტანოთ აქ სანთლები — და მოვ-
კაზმოთ, აქ ავანთოთ.

— უჟ... რა კარგია! ეს სულ არა წვეულებრივი შობის ხე
იქნება.

მმობლებმა მისცეს ნება ბაგშებს წასულიერება ღმე
ტექში. იმათ წაჲევა ბიძია სანდორი; მას თან ჭერიდა თოვი.

მორთეს შობის ხე. უველამ ბევრი ისიამოგნა. ზატარა ქუ-
თომ უამბო დედას უველავერი.

— დედი, იცი ლა გითხლა: ისეთი კალგი იურ ტექში
შობის ხე, ისეთი ლამაზი..

— ჭო... შვილა, კარგი იურ, კარგი. ასლა დაიძინე.

და ქეთო მიერა მიღს.

ტექში კი ნაძვის სე ისეთი გახარებული იქთ, რომ ვერცხლი იყო
წარმოიდგენთ. მისი ძროები სულ ქანაობდნენ სიხარულისგან,
თუმცა ნიავი სრულებით ორ ჰქონდა.

დაოშიდე.





მეგრული არაპეპი

I

კ უ



ეო ერთი წუწები ქალი. მთელი ქვეყანა თავის-
თვის უნდოდა. მდიდრულად ცხოვრობდა: ლა-
მაზად იცვამდა, ბევრს სჭამდა და სფამდა და
მძიერ-მწეურებლე ადამიანი არ ებრალებო
და.

ერთ საღამოს წუწები ქალი გემრიელ ვახშამს შემძლეოდა:
შემწევარ ქათამს მიირთმევდა.

გაისხედა ფანჯარაში და თავისი მკვიდრი მმა დაინახა,
ორმელიც მასთან სტუმრად მოდიოდა.

ქალს სიწუწებებ წასძლია: თევზე დადგებულ შემწევარ
ქათამს ჟევვიდან მათლავა გადაასურა, განჯინაში შედო და
ამნაირად გემრიელი ვახშამი თავის მმას დაუმალა.

შემოდგა თუ არა ფეხი ოთახში სტუმარმა, მისმა დაძ სა-
ხეზე სისარული გამოხატა, ცოლ-ძვილისა და დედ-მამის ამბავი
ჰქითხა, შემდეგ კი უბრალო მოხარმულ ლობიოთი გაუმას-
ჰინძლდა.

ამ ღროს განჯინაში დამალული შემწევარი ქათამი კუდ გა-
დაიქცა: ქვემ—თევზი და ჟევვით—მათლავა ჯავშნად გაუკეთდა.

მუ ჩუმად განვინიდან გამოძერა, ტბისაკენ გაფოფნდა
და იქ დაიმალა.

II

გველი, მერცხალი და უზრუნველი

გველი ქვეშის გაჩენის დროს ანგელოზი უოფილა, შემ-
დებ კი ღმერთს შესცოდა. უფალი განრისსდა და ანგელოზი
გველად აქცია.

იწერ გველმა დედამიწაზე სრიალი. შშიერი იუო და ბი-
ნა არ ჰქონდა. მოსწერინდა ასეთი უოფა გველს და შუამავლე-
ბად უფალს მერცხალი და უუტყარი მიუგზავნა: სთხოვეთ
ჩექ გამჩენს, რომ, სხვებსავით, მეც რამე საკვები გამიჩინო-
სო.

უფალმა უბმანა მერცხალსა და უუტყარს:—მოელი ქვეპა-
ნა შემოიარეთ, ეველაფრის გემო ნახეთ, და რაც ეველაზე
გემრიელი იქნება, გველის საკვებიც ის იუოსო.

გაუდგნენ სხვადასხვა მსარეს მერცხალი და უუტყარი.
ერთი წლის შემდეგ ერთად მოიუარეს თავი.

— აბა რა ნახე ეველაზე გემრიელი?—ჰქითხა მერცხალმა
უუტყარს.

— ეველაფრის გემო გნახე, და ბოლოს დაერწმუნდი, რომ
აკვანძი მწოდება ბალდის სორცს არაფერი სკობიათ,—უპა-
სუხა უუტყარმა.

— აბა მაჩვენე ენა: შეგატეობ, მართლა გიჟამია ბალ-
დის სორცი, თუ არაო,—უთხრა მერცხალმა.

ଜ୍ଞାନିକାରୀମା ଯିନା ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କୁ ମେଘରୁଷଳି ମେଘରୁଷଳି ଦାତ୍ତରୀନିନ୍ଦାପାତ୍ରକାନ୍ତ
ରୂପ ଯିନା ଅମ୍ବାକୁଳିଙ୍କା.

ଜ୍ଞାନି ଜ୍ଞାନିକାରୀମା କ୍ଷେତ୍ରର ମିଶ୍ରାଙ୍କ ଲମ୍ବରିଟ୍ ଅମ୍ବାଙ୍କି, ରାମ
ଦାତ୍ତକୁଳିଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରର କ୍ଷେତ୍ରକୁ ପ୍ରେମିଙ୍କା ହେଲାଇଲା.

ଅମ୍ବାଙ୍କିଙ୍କ ମେଘରୁଷଳିମା ଦାତ୍ତକୁଳିଙ୍କ ପାଦକାନ୍ତରୀନିନ୍ଦା ରୂପ
ମିଶ୍ରାଙ୍କ କ୍ଷେତ୍ରର ତଥା ଦେଖାଇଲା.

କାହାରେ



କାହାରେ ମେଘରୁଷଳି.



მოგა

მოწავის და დაკავების

ახლოვედებოდა შობის და ასაღ წლის უქმები. ჩვენს გიმნაზიაში ბაგჟები დიდ გა წარმატიაში იყენებოდა. უკალანი აღელვებულნი და თან გაცხარებულნი დადიოდნენ; აღელვებულნი მისთვის, რომ მეორე მეოთხედი თავდებოდა და ეძინოდათ, რომ ცუდი ნიშნები არ ჰქონოდათ, და გაცხარებულნი კი მისთვის, რომ ახლო იქთ კიდეც ის დღეები, როდესაც ჩემ დაგვითხოვდნენ და ორი კვირით თავისუფალი გიქნებოდით.

როდესაც ჩვენს დათხოვას ორი დღე-დღა ბეჭდი გიტებოთ, რომ მასწავლებლებმა ნიშნები მეორე მეოთხედისა შეკვეთ დასწერეს, სწავლაზე გულაცრუებულნი ვიუავით და რიგიანად კიდეც არავის სწავლა არ მემღლო: ეკვილანი მოუთმენლად ელოდნენ თცდასამ დეკემბერს, იმ დღეს, როდესაც ჩვენ დაგვითხოვდნენ.

დადგა ეს ნეტარი დღეცა! გაკვეთილები ზოგი გვქონდა და ზოგი კი არა. იმ დღეს რაღაც უცნაურობა დაგვეტუო ჩვენ,

მოწაფეებს: სხვა ღროს, როდესაც მასწავლებელი გაკეთილად გვაძლევდა, მოწაფეები ვაჭრობას დაუწევდით ხოლმე, თუ გა-
გვეთილი ცოტა უფრო მეტი იქ ჩვეულებრივზე; ამ დღეს ქი
ძალიან ლმობიერად ვიქცეოდით: სრულებით არ გვიგაჭრია.

მეორე გაკვეთილის შემდეგ ჩვენთან სასწავლებლის უფ-
როსი შემოვიდა და გვისურება შეიარულებდ უქმების გატარ-
ბა. როცა უფროსი წავიდა, ჩვენ კლასში დიდი აურსაური
ასტრედა: უნდა დაერიგებინათ ნიშნები. აი, დაიწეო კიდეც კლა-
სის დამრიგებელმა ნიშნების დარიგება. ტირილი და სიცილი
ერთმანეთში აირია. კარგ-ზიშნებიანი ამხანაგები, ცუდ-ნიშნე-
ბიანებს ანუგეშებდნენ. მალე უკანასკნელების სახეებზედაც ჭი-
მილმა და შეიარულებამ შეითამაშა.

მოუთმენლად ვეღოდი ჩემ დღიურს. მეც მომცეს. მალე
უელანი დავიძალენით და სახლისაკენ გავსწიოთ, ჩვენ სახლ-
ში შობის შეადების ფაცა-უფრი იქო და მეც შეძლებისადა-
გარად დედას ოჯახის საქმეში ვებმარებოდი. შობა ღიძეს მე
ქართველ-ეპთოლიკეთა ეკლესიაში წავედი მამასთან და უმცროს
დასთან ერთად. როცა მივედით, ნახევრად ბეჭედოდა აქა-იქ
ანთებული სანთლები ბეჭედნენ და სუსტად ანათებდნენ სა-
შობათ ვარდებით მორთულ სატებს.

მალე წირვაც დაიწეო. მე შობის დამის წირვაზე პირ-
უელად ვიუავი და ამიტომ ძლიერ მიკვირდა: თითქმის შეა-
წირვის ღროს მიუედით, ეკლესიაში კი შედარებით სიბნე-
ლე იქო. ერთი წუთით მკლესიაში სიჩუმე ჩამოვარდა. მაკრამ
აგერ ღვედლება ტრაპეზიდან დაიძანა — „gloria“, ესე იგი „დი-
დება მაღალთა შინა“ . იმავე ღროს ზემოდან მოისმა რამდე-
ნიშე მსლაური აკეთოდი ორგზისა; და მთელი ეკლესია თი-
ოქოს გაცოცხლდა: მოძღვრალთა გუნდი ასრულებდა „gloria“-ს
მძღავრსა და მძვენიერ ჟიმნს.

უცებ კანდლებზე ეველა სანთლები აინთო. ასანთი მოუ-
კიდეს მაფებს, რომლებითაც შეერთებულნი იქვნენ სანთლის

წვერები. ეკლესია განათებული იყო სანთლებით და შეა ტროხ
ჰეზძი მოსიჩანდ უმანკო პატარა ბავშვი, სახება ქრისტესი.
ძლიერი ჭიმნი შესცვალა ნაზძა ქართულმა ნანძმ. ეკელნი
სულ-განაბულნი უსმენდნენ გაღობას. მე ოცნებაშ გამიტაცა:
წარმოვიდგინე ღარიბული თაფლი, პატა ბავშვი იქსო და მისი
ლეთიური ღედა, რომელიც მას ნანას უძღვეროდა.

მაგრამ გათავდა გაბლობა და გაქრა ოცნებაც. სალსი ნელა
დაიშალა ეკლესიდან. ჩექნ სახლის აკენ გავეშურეთ. მშვენიერი
ზამე იყო. სარბად ვსუნთქავდი სუფთა ჭავრს. როდესაც სახლ
ში დავბრუნდით, მე სათამაშოები და ტქილეულობა დაუდევი
თავს ქვეშ ჩემ პატარა ღაუმბას. ბავშვებს წინა დღეს აუსხენი,
რომ ძობის ბაბუა გათენებისას მათ საჩუქრებს აჩუქრებს. ბავ
შვებს არ სვეროდათ.

ძობის დღე ჩემთვის ისეთივე მსიარული იყო, როგორც
ასალი წელი. ბოლოს დარჩა რამოდენიმე დღე გიმნაზიაში
წასვლამდი. დაღვრეშილი ვიჯექი მაგიდასთან და გამვეთილებს
ვამზადებდი. ჩემი პატარა და მეორე მაგიდასთან „ნაკადულ
ში“ სმა-მაღლა ლექსის კითხულობდა. ერთი-ორი დღე და ისევ
დაიწევებოდა სწავლა ჩვენს გიმნაზიაში.

ფრთხი გოგავდი





ნიკ. ბარათაშვილს



ე პატარამ როგორ შევძლო
დიდი მგოსნის დაფასება,
ე მაგრამ ერის საეჭარელ შვილს—
მეც მსურს გითხრა მცირე ქება!

დედამ მითხრა, რომ შენ თურმე
სამშობლოს ბედს დასტირდი

და თან იმის სიკეთისთვის
თავიანწირვით, მედურად ბრძოდი!

მაგრამ თურმე შენ უფალმა
ადრე ზეცად წაგიუგანა,
და დამწუხრდა მით სამშობლო,
და დაობლდა მით ქვექანა,

რადგან თურმე სხეა არ იყო
საუკარელი შენისთანა;
თურმე ბეჭრი კარგი ფიქრი
და სურვილი წაგება თანა!

აქ კი თურმე შენ ქართველებს
ანდერძად ებ დაგვიბარე,
რომ გვიუკარდეს ჩენი ერი
და ჩაგრული ჩენი მხარე...

... გეფიდებით, რომ სამშობლოს
ჩვენცა შენებრ შევიუვარებთ,
შევიუვარებთ მმობელ ერსა
და მით შენ სულს გავასარებთ!..

ილ. გოგო





ବିଜୁଳିତାଙ୍କଳୀ

୩ ୧ ୮ ୧୯୧୫

(ବିଜୁଳିତାଙ୍କଳୀ ଲାଖି. ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ମିଶର)

I

ଗୁମ୍ଭଟ ଆଶିକ ମିଶରାର୍ଥେ
ଅନ୍ଧାନିକ ଶିରଗ୍ରେଣ୍ଡି ଆଶି;
ନିମିଶ ଦୁଃଖବିନ୍ଦିକ ମହାଲ୍ଲଙ୍ଘନ,
ରାତ୍ର ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ କ୍ଷେତ୍ରରେ,—
ମିଶରାର୍ଥେ, ଶାରାଧିକଟୁମିଶ
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ରାତ୍ରିରେ
ଦୁଃଖକାଳର ଦୁଃଖକାଳର ଦୁଃଖକାଳ;
ଶାରାଧିକଟ ଶରୀରର ଦୁଃଖକାଳ
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି ଦୁଃଖକାଳ.

II

ଶିରଗ୍ରେଣ୍ଡିରେ ଶାନିକ ପାଦଗ୍ରେଣ୍ଡିରେ,—
ମର୍ଦ୍ଦଗାଲି ଯାରିତିର ରା ପରିପ୍ରେଲିବ;
ମେତର୍ଗୋପ ତାନର୍ଦୟବ୍ୟାଲି;
ମତିଲାଦ—ଦୁଃଖରିକ ଯୁଦ୍ଧରିକାମିଶ.

୩ ୧ ୮ ୩ ୧୯୧୫


(ବିଜୁଳିତାଙ୍କଳୀ ଲାଖି. ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀଙ୍କ ମିଶର)

ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି,
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି,
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି,
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି,
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ରଙ୍କଳୀ ଏହି.

ကော်ဖျော်

(နှစ်မီဒီဒန်းနှင့် ဂုဏ်သွေး နှစ်မီဒီဒန်း မြို့)


ဦးမြန်း၊
နာဂုံးနှင့်
ကော်ပါ
မြို့ရှုံးသူ့?



များ
သုတေသန?



ဦးမြန်း
ရေး
မြို့ရှုံး
သူ့?



+1733

გილეგა ხელის მონარქი 1917 წლისათვის

დასურათებ ული საყმაწვილო ეურნალი

**წელიწადი
მცდამით— „ნაკადული“ წელიწადი
მცდამით.**

გურიაში „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგე-
ბოდ მოწვეულ სირედაქტორ კომისიის ხელმძღვანელობით.

შედები ჩამოდის თვევი ინჯელ

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“
მცდარე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადულისა“

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთვესებული გა-
მოწენილ მხატვაზეთა ნახატი.

ფისი გურიანისა: წლიურიად ორივე გამოცემა—5 მან.—იმათ-
თვის, ვინც გურიანის რედაქტორი მოკითხავს, გაგზავნით კი 6 მან.
ნიხევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ. ცალ—ცალკე;
მცდარე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ.
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კპ.
ფულის შემოტანა შეიძლება ნიჭილ-ნაწილადაც.

ვსოდეთ ხელის მოწერულებს, თუ გურიანი „ნაკადული“ არ
მისდით, ერთი თევის განმიერობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-
ცვლა დროშე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელად—40 კ.
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწმობა მიმღება

თბილისში— „ნაკადული“ რედაქტორიში, ზუბალაშვილის სახლი,
გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8.
შემოსახულები დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კიოხეის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთახე-
ში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაფუქიშვილთან და თ. მთავრი-
შეილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათოში—ტრო-
ფიშ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზაიშვილთან—ქალაქის
გამგეობაში. თელავში—ვანო პაარაშვილთან. ახალციხეში—კონს-
ტანტინე გვარაშვილესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორ-
გომელისურთან. ხონში—მ. ი. ჭავჭავაძესთან. მიხაილოვოში—გი-
ორგი ნიკაშვილესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომუშავები შემთხვევაში მაკლე ისხების-ძე თუმანიშვილი.